

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის  
ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო




ა ნ გ ა რ ი შ ი

2018 წელს განხორციელებული  
საქმიანობების შესახებ



## სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა


სამინისტროს სისტემა მოიცავს სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრს, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს და სსიპ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს.





## აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ერთეული შეადგენდა 53 -ს.






## სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულება

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა **12 885 224** ლარით.

- სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტი - **1 858 130** ლარი;
- ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის ბიუჯეტი - **6 781 046** ლარი;
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ბიუჯეტი - **3 848 268** ლარი;
- სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის ბიუჯეტი - **397 780** ლარი.



- სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი
- ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი
- სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

## სამინისტროს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამები

### ❖ ქვეპროგრამა - „აგროსექტორის განვითარების საჭიროებათა კვლევები და სტრატეგია“, ბიუჯეტი -174 865 ლარი.


ქვეპროგრამის ფარგლებში:

- ❖ „აჭარაში ქარსაფარი ზოლების მდგომარეობის შესწავლა, მათი აღდგენის საჭიროებების, ასევე გასატარებელი ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებათა ტექნიკური აღწერილობა და ფინანსური დანახარჯების შეფასების“ ნაწილში შესწავლილი იქნა ქარსაფარი ზოლების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე, რეგიონის მასშტაბით გაჩეხილ, ამორტიზირებულ და მავნებელ-დაავადებებისაგან დაზიანებული ქარსაფარი ზოლების არსებული მდგომარეობა, მათი რეკონსტრუქციისათვის გასატარებელი ღონისძიებები და ახალი ქარსაფარი ზოლების გაშენების შემთხვევაში ცალკეული კულტურებისათვის ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება
- ❖ „ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები და მისი ეფექტურობის ანალიზი აჭარაში“ შესწავლილი იქნა ნიადაგის ეროზიის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები, ანთროპოგენული ზემოქმედების გავლენა ეროზიის ინტენსივობაზე, რეგიონში ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე ეროზიის უარყოფითი ზემოქმედება, ასევე რეგიონის სპეციფიკისა და გეომორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ცალკეული კულტურების გაადგილების ეფექტურობა. ასევე წარმოდგენილი იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და გატარებული ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი და სხვა
- ❖ „ა.მ.ა.გ.-ების შემდგომი განვითარებისა და ფინანსური მდგრადობის გაძლიერების სტრატეგიული დოკუმენტის“ მიმართულებით წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო და ევროპული გამოცდილების საფუძველზე ა.მ.ა.გ.-ების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები: ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში ჩართულობა, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, 2019 – 2022 წლების სამუშაო გეგმა, ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით შემუშავებული ღონისძიებები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები




# მეციტრუსეობის სექტორი

მანდარინის რეალიზაციის დინამიკა 2014-2019 წწ  
(ათასი ტონა)



მანდარინის ექსპორტი % ქვეყნების მიხედვით 2018-2019 წწ



მანდარინის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით ტონა 2018-2019 წწ

| ქვეყანა     | ტონა             |
|-------------|------------------|
| აზერბაიჯანი | 160,837          |
| რუსეთი      | 20 017,131       |
| სომხეთი     | 2 864,230        |
| უკრაინა     | 6 424,247        |
| ყაზახეთი    | 138,384          |
| ბელორუსია   | 119,885          |
| ყირგიზეთი   | 59,792           |
| ლატვია      | 39,900           |
| უზბეკეთი    | 260,554          |
| <b>სულ</b>  | <b>30 084,96</b> |



# თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან

**დონორი ევროკავშირი**  
განმახორციელებელი:  
**გაეროს განვითარების**  
**პროგრამა**

„მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“

**დონორი ევროკავშირი**  
განმახორციელებელი:  
**გაეროს განვითარების**  
**პროგრამა**

„სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“-ENPARD II

**დონორი ევროკავშირი**  
განმახორციელებელი:  
**CENN**

„ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისთვის“

**დონორი ევროკავშირი**  
განმახორციელებელი:  
**Caritas Georgia**

„სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“

**დონორი IFAD, GEF**  
განმახორციელებელი:  
**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი“ (AMMAR)

**დონორი USAID**  
განმახორციელებელი:  
**USAID**

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი“ (REAP)

**დონორი ევროკავშირი**  
განმახორციელებელი:  
**FAO**

„FAO ხელშეწყობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ENPARD 3 -ის ფარგლებში“

**დონორი USDA**  
განმახორციელებელი:  
**USDA**

„ა(ა)იპ აჭარის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია“

## საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“

2018 წლის 11-12 ოქტომბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმში“ გაიმართა საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“. ღონისძიების მიზანი იყო რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, ექსპორტის ხელშეწყობა, ახალი ბიზნეს კონტაქტების დამყარება და აგრარულ დარგში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლება.

ფორუმის მონაწილეებს სპეციალურად მომზადებული ვიდეო რგოლის „აჭარის აგრარული პოტენციალი“ ნახვის შესაძლებლობა მიეცათ. საინვესტიციო ფორუმში მონაწილეობდა 12 უცხო ქვეყნის: პოლონეთი, გერმანია, ლიეტუვა, ლატვია, თურქეთი, უკრაინა, ბელორუსი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი 30-მდე კომპანია, რომლებიც წარსდგნენ შესაბამისი პრეზენტაციებით.





## აზიური ფაროსანას წინააღმდეგ განხორციელებული სამუშაოები

### ტერიტორიების ქიმიური დამუშავება

| ინფორმაცია ცივი შესხურება |                |                     |                         |
|---------------------------|----------------|---------------------|-------------------------|
|                           | მუნიციპალიტეტი | დამუშავებული სოფელი | დამუშავებული ფართობი ჰა |
| 1                         | ბათუმი         | 9                   | 445.125                 |
| 2                         | ქობულეთი       | 48                  | 2721.28                 |
| 3                         | ხელვაჩაური     | 64                  | 1376.65                 |
| 4                         | ქედა           | 24                  | 267.62                  |
| 5                         | შუახევი        |                     |                         |
| 6                         | ხულო           |                     |                         |
| <b>სულ</b>                |                | <b>145</b>          | <b>4810.675</b>         |

| ინფორმაცია თერმული ნისლი |                |   |                         |
|--------------------------|----------------|---|-------------------------|
|                          | მუნიციპალიტეტი | დამუშავებული სოფელი/ადმინისტრაციული ერთეული | დამუშავებული ფართობი ჰა |
| 1                        | ბათუმი         | 8   | 1880                    |
| 2                        | ქობულეთი       | 49  | 20150                   |
| 3                        | ხელვაჩაური     | 64  | 10470                   |
| 4                        | ქედა           | 41  | 1920                    |
| 5                        | შუახევი        |   |                         |
| 6                        | ხულო           |   |                         |
| <b>სულ</b>               |                | <b>162</b>                                  | <b>34420</b>            |



### მუნიციპალიტეტებში ფერომონების განთავსება

| N          | მუნიციპალიტეტის მერია | მუნიციპალიტეტებზე მიწოდებული მონიტორინგის ფერომონები | მოიზიდე და მოკალი ტიპის ფერომონი |
|------------|-----------------------|--|----------------------------------|
| 1          | ქობულეთი              | 500  | 395                              |
| 2          | ხელვაჩაური            | 432  | 310                              |
| 3          | ქედა                  | 306  | 50                               |
| 4          | შუახევი               | 300  |                                  |
| 5          | ხულო                  | 180  |                                  |
| 6          | ქ.ბათუმი              | 60   |                                  |
| <b>სულ</b> |                       | <b>1778</b>  | <b>755</b>                       |

საანგარიშო პერიოდში აჭარის რეგიონში ცივი შესხურებით დამუშავებული იქნა 4810,675 ჰა, ხოლო თერმული ნისლით კი 3 4420 ჰა. მთლიანობაში წამლობითი ღონისძიება განხორციელდა 39 230,65 ჰა-ზე.


რეგიონის ფერმერებს გადაეცათ 2 533 ფერომონი.



## ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი

ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის ძირითადი მიზანია: სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება.

### ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის სტრუქტურა



## ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ განხორციელებული ქვეპროგრამები




**მუნიციპალური მომსახურების ცენტრი - რეგიონული მომსახურების ცენტრი**

**ძირითადი ფუნქციები:** ერთ შენობაში (სივრცეში) განთავსდება ორი ორგანიზაცია: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი და ასევე რეგიონული მომსახურების ცენტრი, რომელიც მოახდენს მუნიციპალიტეტებიდან ტრანსპორტირებული პროდუქციის შენახვას, დისტრიბუციასა და რეალიზაციას

**მუნიციპალური მომსახურების ცენტრები**

**ძირითადი ფუნქცია:** ფერმერების მიერ წარმოებული ნამატი პროდუქციის პირველადი დამუშავება და მისთვის საბაზრო სახის მიცემა (საცალო და საბითუმო ვაჭრობისთვის)



**ქვეპროგრამა: „სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ბიუჯეტი - 938 326 ლარი;**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება და რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

**ქვეპროგრამის შედეგი:** რეგიონში მებოსტნეობის სექტორის განვითარების ფარგლებში ადგილობრივი ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ფერმერთა მატერიალური შემოსავლების გაუმჯობესება;

საანგარიშო პერიოდში 5000 კვ.მ-ზე მიწის ფართობზე მოეწყო სასათბურე მეურნეობები, კერძოდ ლითონის კარკასითა და პოლიეთილენის ფირით;

ასევე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად განახორციელდა ბენეფიციართა შერჩევა. კერძოდ, 6 ბენეფიციართან მოეწყო სასათბურე მეურნეობა 2200 კვ.მ-ზე ხელვაჩაურისა და ქ.ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე.

**ქვეპროგრამა: „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“; ბიუჯეტი - 824 625 ლარი;**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მაღალპროდუქტიული კარტოფილისა და ნიორის სარგავი მასალის, სასუქებისა და ჰერბიციდების აგრომეწარმეებზე და ფერმერებზე მიწოდების გზით რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა.

**ქვეპროგრამის შედეგი:** რეგიონის მაღალმთიანეთის მცირე კონტურიანი სავარგულების ეფექტური ათვისების ხელშეწყობა, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის ფონზე ფერმერთა შემოსავლების ზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნა 52 500 კილოგრამი „სილვანას“ ჯიშის კარტოფილის სათესლე მასალა;

1. 5 400 კილოგრამი მინერალური სასუქი NPK;
2. 3 562 კილოგრამი მინერალური სასუქი N;
3. 52 500 კილოგრამი ორგანული სასუქის (ბიოსასუქი);
4. 48 000 კილოგრამი „ლუბაშა“-ს ჯიშის ნიორის სათესლე (სარგავი) მასალა;
5. ზემოხსენებული საწარმოო საშუალებები გადაცემული იქნა რეგიონის ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე.



**ქვეპროგრამა: „მაღალეფექტური, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“; ბიუჯეტი - 356 983 ლარი.**

**ქვეპროგრამის მიზანი:** აჭარის რეგიონში მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით დაბალმოსავლიანი ბაღების ჩანაცვლება პერსპექტიული, ექსპორტზე ორიენტირებული ალტერნატიული კულტურებით;

**ქვეპროგრამის შედეგი:** მეზღვევით დაკავებული ფერმერების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ადგილობრივი ხეხილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება;

ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით გაშენდა:

1. საადრეო მანდარინი (4ჰა) – 3,522 ჰა - ზე (ახალი ბაღი) 3522 ძირი საადრეო მანდარინი-30 ბენეფიციარი;
2. საადრეო მანდარინი (5 ჰა) – 5,0 ჰა- ზე (ამორტიზირებული ბაღი) 5001 ძირი საადრეო მანდარინი-37 ბენეფიციარი;
3. კაკლის ნერგი (20 ჰა) – 20,0 ჰა 6599 ძირი კაკალი 81 ბენეფიციარი;
4. მოცვის ნერგი (5ჰა) – 5,0 ჰა 16500 ძირი მოცვი -24 ბენეფიციარი;
5. ვაზის ნერგი (2,5ჰა) - 1,3 ჰა 3170 ძირი ვაზი -10 ბენეფიციარი;
6. სხვა მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღები – 3,0 ჰა, 1465 ძირი, სულ -23 ბენეფიციარი.



**ქვეპროგრამა: „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“;**  
**ბიუჯეტი - 2 625 183 ლარი.**

**ქვეპროგრამის მიზანი:** უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცება, მცენარეთა დაცვის მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება;

**ქვეპროგრამის შედეგი:** ფერმერთა ცნობიერების ამაღლება, ხელით შრომის შემსუბუქება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება; წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;

საანგარიშო პერიოდში 2662 ერთეული ბადის მობილური შემასხურებელი აპარატი და 351 ერთეული მოტობლოკი სათიბელას კომპლექტით, გადაეცათ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს. კერძოდ:

**ა) მობილური შემასხურებელი აპარატი:**

- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში 1128 ერთეული,
- ❖ ხელვაჩაურში 720 ერთეული,
- ❖ ქედაში 314 ერთეული,
- ❖ შუახევში 137 ერთეული,
- ❖ ხულოში 147 ერთეული;
- ❖ ქ. ბათუმში 216 ერთეული.



**ბ) მოტობლოკი სათიბელათი:**

- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2 ერთეული,
- ❖ შუახევში 25 ერთეული
- ❖ ხულოში 324 ერთეული.

**ქვეპროგრამა: „მეჩაიეობის განვითარების ხელშეწყობა“, ბიუჯეტი - 339 401 ლარი.**

**ქვეპროგრამის მიზანი:** მეჩაიეობის დარგის განვითარება ახალი პლანტაციების გაშენების გზით;

**ქვეპროგრამის შედეგი:** 20 ჰა-ზე გაშენებული ჩაის პლანტაცია;

ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნა 20 ჰა მიწის ნაკვეთზე ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო (პროექტი) დოკუმენტაცია.

**ქვეპროგრამა: „ვენახის ფართობებისათვის რკინა-ბეტონის საყრდენი ბოძებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა“;**  
**ბიუჯეტი - 40 000 ლარი.**

**ქვეპროგრამის მიზანი:** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვენახის გამწვანებისათვის საჭირო საყრდენი შპალერით ფერმერთა უზრუნველყოფა;

**ქვეპროგრამის შედეგი:** რეგიონში ვენახის ახალი ბაღების გამწვანება და მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა; ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული იქნა 3333 ცალი რკინა-ბეტონის საყრდენი ბოძები, რომელიც გადაეცა ფერმერებსა და აგრომეწარმეებს. კერძოდ:

- ❖ ქობულეთი - 105 ცალი;
- ❖ ხელვაჩაური - 134 ცალი;
- ❖ ქედა - 1902 ცალი;
- ❖ შუახევი - 1157 ცალი,
- ❖ ხულო - 35 ცალი.



**ქვეპროგრამა: „რძის წარმოება-რეალიზაციის ხელშეწყობა“, ბიუჯეტი - 144 650 ლარი.**

**ქვეპროგრამის მიზანი:** რეგიონში რძის წარმოება-რეალიზაციის ხელშეწყობის გზით მეცხოველეობის დარგის განვითარება; წარმოებული ნედლი რძის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება; მეცხოველე ფერმერების სტიმულირება, რძის გადამამუშავებელი საწარმოების უზრუნველყოფა ნედლეულით, ადგილობრივი რძის პროდუქტების წარმოების ზრდა;

**ქვეპროგრამის შედეგი:** მერძევეობისა და ზოგადად მეცხოველეობის სექტორის განვითარება და აღნიშნული დარგით დაკავებული ფერმერების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდულია:

- ❖ 1 ერთეული სატვირთო-სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალება (რძის გადასაზიდი რეფრეჟერატორი-მაცივარი);
- ❖ უჟანგავი ფოლადის 2 ერთეული მათარა 25კგ და 40 კგ-იანი,
- ❖ ლაქტოსკანი პრინტერით და PH -მეტრი







ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების ფართობები წარმოდგენილია 39.6 ჰა ფართობზე, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში - ჩაქვში ციტრუსოვანთა კულტურებით დაკავებულია 21 ჰა, ხოლო გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილკენკროვნებით 18,6 ჰა.



ჩაქვისა და გვარას სანერგეებში განთავსებულია შემდეგი სასათბურე მეურნეობები: ჩაქვში 2000 კვ.მ -ზე 2 ერთეული 1000 კვ.მ-იანი ციტრუსოვანთა ნერგის სამცნობ-გამოსაზრდელი სათბური; გვარა ხუცუბანში 1500 კვ.მ-ზე 3 ერთეული 500 კვ.მ-იანი სათბური, მათ შორის ერთი ვაზის ნერგის მცნობა-გამოზრდისათვის, მეორე - მარწყვის სადემონსტრაციო, ხოლო მესამე - კენკროვანი ხილის ჟოლოს სადემონსტრაციო სათბური



**ნერგების წარმოება:** ჩაქვისა და გვარას სანერგე მეურნეობებში განხორციელდა 30 000 ძირი ვაზისა და 30 000 ცალი ციტრუსის ნერგის მცნობა, საიდანაც რეალიზებული იქნა 24 196 ცალი ვაზის ნერგი. აღნიშნული პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი იქნა ქოთნებში სუბსტრატის ჩამყრელი დანადგარი, რომლის საშუალებითაც სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით განხორციელდა სხვადასხვა სახეობის სარეალიზაციო ნერგებისათვის განკუთვნილ ქოთნებში სუბსტრატის ჩაყრა;

ჩაქვის ციტრუსების სანერგეში რეალიზებული იქნა:

- ✓ 16 484 ძირი ციტრუსის სტანდარტული ნერგი;
- ✓ 505 ცალი ვაშლის ნერგი;
- ✓ 7 ცალი ზეთისხილის ნერგი;
- ✓ 205 ცალი მაცვლის ნერგი;
- ✓ 357 ცალი მარწყვის ნერგი;
- ✓ 347 ცალი ჟოლოს ნერგი.

სანერგეში ასევე განხორციელდა 1953 კგ გრეიფრუტის ნაყოფის რეალიზაცია.



## ხელოვნური განაყოფიერება, კერძო და საჯარო ვეტერინარიის განვითარების ხელშეწყობა:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების, მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში ხორციელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება. პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია 60 ლარით, საიდანაც მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) ფერმერის მიერ ერთი სული ფურის განაყოფიერებაზე გადასახდელი თანხა შეადგენს 10 ლარს, ხოლო ქ. ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში - 30 ლარს. დარჩენილი თანხის სუბსიდირებას ახორციელებს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი;

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სპეციალისტების მიერ ხელოვნური განაყოფიერება ჩატარდა 2321 ფურს, მათ შორის:

- ❖ ქ. ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 1660;
- ❖ ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტი - 661;



## აგრარული ექსტენციისა და პრაქტიკული სერვისების მიწოდება:

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლების, აგროსპეციალისტთა და აგრომეწარმეთა ტრენინგის გზით პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების მიზნით განხორციელდა აგრარული ექსტენციის ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში 2018 წელს ექსტენციის მომსახურების პირობებში 806 ჰექტარზე განხორციელდა ექსტენციის - სამივე ფაზა, დატრენინგდა 2317 ფერმერი;

მეფუტკრეობაში ექსტენცია ჩაუტარდა 372 ფერმერს, მეთევზეობაში 40 ფერმერს, მეცხოველეობაში დატრენინგებულია 929 ფერმერი, მეფრინველეობაში 61 ფერმერი, მექანიზაციაში 156 ფერმერი; მესათბურეობაში 12 ფერმერი.



## ახალი აგრარული პროექტების განხორციელება და თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირება:


გვარას სადემონსტრაციო ნაკვეთში 0,2 ჰა-ზე გაშენებულია 130 ძირი თუთის მაღალმოსავლიანი ჯიშები, ასევე მოეწყო თუთის სანერგე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო 25 წლის განმავლობაში თითქმის მივიწყებული ისტორიულ-ტრადიციული და ფერმერთათვის კარგად ცნობილი დარგის, მებარეშუმეობის სტიმულირების კუთხით გვარაში განხორციელდა აბრეშუმის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირება. პროგრამის ფარგლებში გვარას ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში 2018 წელს აბრეშუმის ჭიის გამოზრდის მიზნით შერჩეული იქნა 50 კვ/მ-მდე დახურული იზოლირებული ფართობი, მასში განთავსდა სპეციალურად დამზადებული 20 ცალი 5 იარუსიანი სტელაჟი, რომელზეც მიმდინარეობდა 10 გრ გრენისგან წარმოებული აბრეშუმის ჭიის გამოკვება და თითოეული სტადიის (აბრეშუმის ჭია გრენიდან სრულ ზრდამდე გაივლის 5 ეტაპს, რაც 5-ჯერ კანის ცვლაში გამოიხატება) მიხედვით ახალი იარუსების ათვისება. შექმნილი იქნა 2 დანადგარ მოწყობილობა, რომელთაგანაც ერთი ემსახურებოდა თუთის ფოთლოვანი ტოტებიდან ფოთლის გაცლას, ხოლო მეორე დანადგარზე მიმდინარეობდა ნედლი ფოთლის დაჭრა სასურველი ზომების მიხედვით. მოცემული დარგით დაინტერესებული ფერმერებისათვის მოეწყო აგროტური.



## სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დაარსდა 2006 წლის 6 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №50 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიოლაბორატორიის ბაზაზე.

### სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის სტრუქტურა



საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დამკვეთი ორგანიზაციებიდან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის, სასმელი წყლის, ჩამდინარე წყლის, მდინარის წყლის, აუზის წყლის, სუსტალკოპოლური სასმელების, ზღვის წყლის, სადეზინფექციო საშუალებების, ჩამონაბან-ჩამონარეცხის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მასალისა და ობიექტის მავნებელ-დაავადებებზე შემოწმების მიზნით სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ სულ შემოსული იქნა **13648** ნიმუში.



სსიპ-ლაბორატორიულ კვლევით ცენტრსა და სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული იქნა **268** ხელშეკრულება ლაბორატორიული მომსახურების გაწევის მიზნით.

2018 წლის ოქტომბრის თვეში, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის საგამოცდო ლაბორატორიამ წარმატებით მიიღო მონაწილეობა FAPAS-ის (Food Analysis Performance Assessment Scheme) მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო ტესტირების რაუნდში - Food Microbiology Proficiency Test M236d21 - *Vibrio parahaemolyticus* in Fish. კერძოდ, ადამიანისათვის საშიში, მაღალი რისკ-ფაქტორის მქონე, თევზისა და აკვაკულტურის პროდუქციისათვის დამახასიათებელი ბიოლოგიური საფრთხის ერთერთი გამომწვევის, ჰემოლიტიკური ვიბრიონის (*Vibrio parahaemolyticus*) კვლევებზე თევზში. (Food micro. *Vibrio parahaemolyticus* in Fish).



ცენტრს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზედაც სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თავიანთი თეორიული ცოდნა გაამყარონ ლაბორატორიაში მიღებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ამასთან დამკვიდრდა ტრადიცია, მათგან საუკეთესო და მოტივირებულმა კურსდამთავრებულებმა გაიარონ სტაჟირება ჩვენთან ქიმია-ბაქტერიოლოგიის მიმართულებით- შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.



გმადლობთ ყურადღებისათვის!

